# ხელშეკრულება N46

ქ.ხაშური 22 აპრილი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორი გიორგი ბოლოკაძის სახით, მეორე მხრივ ფიზიკური პირი თამაზ აბრამიძე (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

როალის რესტავრაცია და აწყობა CPV:50860000

2.ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200 ლარს (ორასი) (20% საშემოსავლო 160 ხელზე ასაღები)

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

.3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს წინასწარ ორგანიზაციული საკითხებისა და შესასრულებელ სამუშაოს გადაწყვეტის აუცილებლობიდან გამომდინარე.

3,3. მიმწოდებლის მიერ მომსახურების დადასტურება მოხდება მომსახურების მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე.

4.2მომსაზურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1.საქონლისმიწოდების ადგილია ხაშური.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 22 აპრილს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსზღვრულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1..ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური რირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორ მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანება | თამაზ აბრამიძე |
| ხაშური,რუსთაველის მე-2შესახვ.<br>საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 | გორი, ძმები რომელაშვილების ქ. 54<br>პირადი ნომერი #59001071444 |
| სს ლიბერთი ბანკი ხაშ.<br>ბანკის კოდიTRESGE22<br>ა/ა GE24NB0330100200165022 | სს ლიბერთი ბანკი<br>ბანკის კოდიLBRTGE22<br>ა/ა GE 06 LB 0711102628704240 |
| გაერთიანების დირექტორი | ფიზ.პირი |
| გიორგი ბოლოკაძე | თამაზ აბრამიძე |

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ხაშური 22 აპრილი 2016 წელი

ერთი მხრივ ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების მმართველი გიორგი ბოლოკაძე, მეორე მხრივ ფიზიკური პირი თამაზ აბრამიძე წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 22 აპრილს დადებული ხელშეკრულება N46-ისსაფუძველზე შესრულდა ხელშეკრულებით გათვალიწინებული სამუშაოები, რესტავრირება ჩაუტარდა და აიწყო მუსიკალური ინსტრუმენტი-როიალი, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

ჩაიბარა

გიორგი ბოლოკაძე

ჩააბარა

თამაზ აბრამიძე